

# მწყემსი



საქართველოს  
საბჭოთაო  
საქართველო

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).  
ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).  
პოვედიო ჩემდა ყოველნი მაშურაღნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 2 1883-1892 30 იანვარი.

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :	
«მწყემსი»	«მწყემსი» რუსული გამოცემით
12 თვეით . . . . . 5 მან.	12 თვეით . . . . . 6 მან.
6 — . . . . . 3 —	6 — . . . . . 4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:  
სა *Кавказу, В редакцию „Мукемси“ и „Пастыр“.*

ყველა სტატიები და გორრესპონდენციები, რომელნიც იქნებიან დასაბეჭდავით გამოგზავნილნი ვრცელად და კასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.  
სტატუა, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარდით უკანვე დაებრუნოს.  
სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## მიტრაპოლიტი დავითი.

### დავითის ჩამომავლობა.

მიტრაპოლიტი დავითი ჩამომავლობით ეკუთვნოდა იმერეთის ერთ უძველესს და შტახანიშნავ თავად წერეთლების გვარეულობას. VIII საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მეფის აღარნასის დროს, დაღესტნიდან გადმოვიდნენ სამი ძმანი, რომელნიც დაესახლენ იმერეთში. ეს სამი ძმანი შეიქმნენ ბოლოს სამ დგმათა წინაპარნი. ამ სამ შთამომავლობაში ერთმა მალე შეიძინა დიდი გავლენა

და მნიშვნელობა. მასთან შეიძინა დიდი ადგილმამულბი და ებოძა თავადის ღირსება. მაგრამ ეს შთამომავლობა სხვა და-სხვა მოულოდნელ შემთხვევათა გამო კინალამ მთლად არ ამოწყდა, ასე რომ 1710 წელში ამ შთამომავლობიდან დარჩა მხოლოდ ერთი ავადმყოფი ბავშვი სახელად დავითი, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა; მისი უმფროსი ძმა, ახალგაზდა და სიცოცხლით სავეცკაცი, პაპუნა ამ დროს მონასტერში სცხოვრებდა, რადგან ყოველივე ქვეყნიურზე მან ხელი აიღო. ადგილობითი თავადები და აზნაურნი შეიკრიბნენ, მივიდნენ მონასტერში პაპუნასთან და ურჩიეს მას, რომ მონასტრისათვის თავი დაენებებინა, ხელი მო-

თბილისი

ეკიდა იმ დიდი ადგილ-მამულებისათვის, რომელნიც მათ შთამომავლობას ეკუთვნოდა. აგრეთვე ურჩიეს პაპუნას, რომ მას მოეწოდა თავის ავად-მყოფის და მცირე წლოვან ძმის დავითისათვის. პაპუნამ დაიჯერა თავადების რჩევა, გამოვიდა მონასტრიდან და მალე დაქორწილდა თავად აბაშიძის ქალზე. პაპუნას ჯვარის წერის შესახებ დღესაც არის ერთი ზეპირ გარდმოცემა, რომელიც მოგვითხრობს, რომ პაპუნასათვის თავად აბაშიძეს არ სდომებია ქალის მიცემა, რადგან მას, პაპუნას, არა ჰქონდა საკუთარი ციხე-დარბაზი. აბაშიძეები კი მეტად ძლიერნი და გავლენიანი პარნი იყვნენ. ერთი თავად აბაშიძეთაგანი რამდენიმე დროს, სახელდობრ 1701 წელში, განაგებდა იმერეთს. ამაზე პაპუნა თავად აბაშიძეს მიუგო თურმე მოკლედ და ცხადად: „მოლა და ნახე“ და ამავე დროს გასცა ბრძანება, რომ დაუყონებლივ აეგოთ ციხე ციცაბო და მიუდგომელ მთაზე, მისი გვარეულობის საჩხერის მახლობლად. რომ შეეტყოთ პაპუნას სიტყვების სინამდვილე, გაგზავნილ იქმნენ კაცები, მაგრამ ეს კაცები უფრო სასაციოდ იყვნენ გაგზავნილნი, რადგან თავად აბაშიძემ კარგად იცოდა, რომ პაპუნას არასფერი ციხე არა ჰქონდა; მაგრამ როცა გაგზავნილი კაცები მივიდნენ, მათ ნახეს რაღაცა მანქანებით აღშენებული ციხე; გაგზავნილებმა ამოიოხრეს და ამ ციხეს დაარქვეს სახელად: «მოლი-ნახე», ხოლო მის მფლობელს მიულოცეს სასძლო. ასე მოგვითხრობს ეს ზეპირ-გადმოცემა, მაგრამ არის ერთი წერილობითი საბუთი, რომელიც ერთი წერეთლის ოჯახში ნახეს. ამ საბუთში მოხსენებულია, რომ ციხე «მოლინახე» იმ დროს უკვე ნასყიდი იყო თავად ფალავანდისშვილებისაგან. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ «მოლინახე» ციხის ნამდვილ სახელს კი არ ნიშნავდა, არამედ ამით პაპუნა ხატავდა ციხის არე-მარის საუცხოვო მდებარეობას. ე. ი. ციხე ისეთ მიუდგომელ ადგილზე იყო აღშენებული, რომ მტერს მისი დაპყრობა არას ღონით არ შეეძლო. რომ ასეთი მიუდგომელი იყო ეს ციხე, ეს დაამტკიცა პაპუნას მეუღლამ. პაპუნა და მისი სიმამრი თავაბაშიძე წაენხუბნენ მეფეს. შემდეგ მეფემ მიიწვია იანი თავისთან შესარიგებლად, მაგრამ სიძე-სიმამრი დახოცეს იქ, ხოლო წერეთლების გვარეულობის ამოსაწყვეტად და მათი მამულების დასაპყრობად გაგზავნეს ჯარი. გაიგო თუ არა ეს პაპუნას

ქერივმა, ის მაშინვე შეიშალა ამ ციხეში და იმდენს ხანს გამაგრდა იქ, რომ მეფე იძულებულ შეიქმნა თავი დაენებებინა თავის განზრახვისათვი და მიეტყუებინა ამ მამაცი ქალისათვის დამნაშაობა. მეორე ლეწლი ჰქმნა «მოლი-ნახე»-ს ციხემ 1810 წელში, როდესაც მეფე სოლომანი წინ აღუდგა რუსის მართებლობას. ამავე ციხეში ამ დროსაც ქალმა ისახელა თავი. ეს ქალი იყო თავად აბაშიძეების შთამომავლობისაგან, სახელად ქეთევან წერეთლისა. ქეთევანი იყო ცოლი მეფის მხედართმთავრის ქაიხოსროსი, რომელიც მეფესთან ერთად გაიქცა სათათრეთში; ამ ქალს არ უნდოდა დამორჩილებოდა რუსებს, ის შეეფარა ამ ციხეში და იქიდან თავის ხელით ისროდა ზარბაზნებს; ბოლოს დროს იქამდის იქმნა შევიწროებული, რომ დამორჩილა თავის მონათესავეთა რჩევას და დაუთმო ციხე რუსებს, რომელთაც ნახეს მასში 6 ზარბაზანი, 2 დიდი თოფი, 30 ციხის თოფი და 2 დროშა წითელი და მწვანე ნაქსოვისაგან. დროშებზე გამოხატული იყო წმ. გიორგი. ციხე «მოლი-ნახე» დღეს სრულიად მიწვეებულია, მისი შენობები დანგრეულია, მაგრამ კედლები კიდევ მთელნი არიან და მათზე შესულია ასი წლის მშენიერი სურათი.

პაპუნას ჰყავდა ორი შვილი: ქაიხოსრო და ნიკოლოზი; ამათგან და მიტრაპოლიტ დავითისაგან წარმოსდგნენ თავადი წერეთლები, რომელნიც დღეს იმერეთში სცხოვრებენ. ქაიხოსროსაგან წარმოსდგა ზურაბი, ხოლო ამ უკანასკნელს შეეძინა სხვა შვილებს გარდა 1780 წელში, მარტის თვეში დავითი, რომელიც შემდეგ, 1853 წელში გარდაიცვალა მიტრაპოლიტის ხარისხში.

თავადი ზურაბი ამ დროს მეტად ძლიერი და გავლენიანი პირი იყო; ის დიდ ჭკვიან კაცად ითვლებოდა და ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფე სოლომონ დიდის წინაშე. მეფე ზურაბს ხშირად აგზავნიდა ხოლმე იმპერატორისა ეკატერინესთან; ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავად ზურაბს მეფე სოლომონ მეორესთანაც. ამ დროს ზურაბი იწოდებოდა სახლთ-ხუცესად. ზურაბი თითქმის მთელს იმერეთს მართავდა. მაგრამ იმ დროში ასეთი სიძლიერე და გავლენა მტკიცე საფუძველზე არ იდგა. თვით მთავრობის და მეფის მნიშვნელობასაც ძლიერ ასუსტებდა ის გარემოება, რომ საქართველო იმყოფებოდა სათათრეთის გავლენის ქვეშე; გარდა ამისა

თვით სახელმწიფოშიაც მეფეს ხშირი შეტაკება ჰქონდა ხოლმე ძლიერ ერისთავებთან. მეფის მო-  
ცხადებით ძლიერ წინააღმდეგობადას ხოლმე, მაგრამ სხვა-  
და-სხვა გარემოებათა გამო ჰკარგავენ ხოლმე თავიანთ მნიშვნელობას და სუსტდებოდნენ ხშირი ჩხუ-  
ბებისაგან.

ერთი მხოლოდ მღვდელ-მთავრები, როგორც სულიერნი ლამაზნი და მტკიცე ბურჯი მართლ-მადიდებლობის და სამეფოისა მტკიცედ იდგნენ და თუმც მიტყვებულნი ჰქონდათ ყოველივე ქვეყნიური ზრუნვა, მაგრამ ამავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნიურ საქმეებში. მღვდელ-მთავრებს დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხზე, რომელსაც ისინი მწყობრად სულიერად და ზნეობითად და ამავე დროს მღვდელ-მთავრები იყვნენ ხალხის ხელმძღვანელები სამოქალაქო და სამხედრო საქმეებშიდაც. ამ სახით, როცა მეფე სოლომონ პირველმა განიზრახა სამარცხენო ჩვეულების—ქრისტიან ტყვეთა ყიდვა სათათრეთში, მოსპობა, მეფემ დანიშნა მღვდელ მთავრების კრება ამ საგნის შესახებ. მეფის განზრახვა მხოლოდ მაშინ მოვიდა სისრულეში, როცა მღვდელ-მთავრებმა დასწყევლეს (შეაჩვენეს) ისინი, რომელნიც წინ აღუდგებოდნენ მეფის ბრძანებას. ამავე სახით, როცა საქირო იყო ხალხის შეკრება ომში გასაყვანად, მაშინ მონასტრის კედლებიდან მოისმოდა საყვირის ხმა და ადგილობრივი მცხოვრებნი იკრებოდნენ ტაძრებთან, რომ ღოცვა-კურთხევა მიეღო მწყემსთაგან და აგრეთვე წინდაწინვე შობდნენ მონასტრში თავიანთ ცოლშვილთათვის თავ-შესაფარად იღებდნენ მტრების თავ დაცემის დროს. ამისთანა უბედურს დროს ხალხი თავს იფარავდა ამ მონასტრებში, რადგან ისინი ისეთ მიუფალ და ცრცაბო გორებზე იყვნენ აღშენებულნი, რომ მტერს ამ სიმაკრებების აღება არ შეეძლო. ამაგებისა გარდა სასულიერო წოდება აღჭურვილი იყო დიდი უფლებით: ბერებს და მონასტრის გლეხებს ამსაჯულებდნენ მხოლოდ სასულიერო წოდების პირნი; ყველა უკანონოდ მობილნი ეკუთვნოდნენ ეკლესიას; ეკლესიას ჰყავდა თავის აზნაურები, თავის სასახლის და სამოქალაქო მოხელენი და ბევრი დასახლებული სოფლები. ამიტომ ქათალიკოსი როგორც თავი სამღვდლოებისა, თითქმის მეფის თანასწორი იყო; მღვდელ-მთავრები თავიანთი უფლებით წინ იდგნენ, ვინც ერისთავები და ამიტომ პირველნი ძალიან ეწვეოდნენ და

დიდ მუარველობას უწევდნენ თავიანთ მონათესავეთა. სამღვდლოების ასეთი დიდი ზედგავლენა და მნიშვნელობა მიიღო სახეში თავად ზურაბმა და ამიტომ თავის უმფროსი შვილი დანიშნა სამსახურში მეფესთან, ხოლო მეორე—დავითი უნდოდა ეკლესიის მოამსახურედ და ამიტომ დავითს პატარაობიდანვე ამზადებდა ბერად. პატარა დავითის აღზრდა მიიღო თავის თავზე მისმა ბებიამ თავად ჯაფარი ძის ასულმა, რომელიც შესანიშნავი იყო გონებით და წერა-კითხვის ცოდნით. ის მუყიათად მოეკიდა შვილის-შვილის აღზრდის საქმეს და თუმცა დავითი მეტად ცელქი და ფიცხი ხასიათისა იყო, მაგრამ სწავლას ძალიან ბეჯითად ეკიდებოდა, ასე რომ მეთოთხმეტე წელიწადზე ყველას აკვირებდა თავის ცოდნით.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციისადმი

სამეგრელოდამ.

სამეგრელოში სწავლა-განათლების სურვილი მომეტებულად გავრცელებულია ყველა წოდების ხალხში. მაგრამ დღემდის სურვილი სურვილად დაჩვენოდა და ხალხი იმავე უმეცრების მორევში ტრიალებს, როგორშიაც იყო იგი ამ რვა-ათი წლის წინ. გუშინ დღლით იმედ-მიხილს, დღევანდელით უკმაყოფილოს, დაჩვენა ერთი-ლა იმედი—ეს იმედი გახლავთ—ხვალინდელი დღე. ხვალინდელს დღესა იმავე სიხარულით მოედიან, თითქოს მას შეეძლოს იხსნას იგინი ყოველგვარ ტანჯვა-ვაებისაგან, მიაწოდოს თვითოეულს გონებრივი საზრდო, გააბედნიეროს იგი და სხ. და სხ. «სხვა-და-სხვა» იმიტომ, რომ მათთაც არა აქვთ გამორკვეული, თუ რანაირ, ანუ რამდენს სიკეთეს მოანიჭებს, დასთესს ხვალინდელი დღე... რა არის მიზეზი ამისა? მიზეზი გახლავთ ისა, რომ მეგრელებს არა ჰყავთ გზის მაჩვენებელი, რომელმაც აუხსნას მათ რიგიანად სწავლის საჭიროება და მნიშვნელობა, რომელმაც გზა გაუკვალოს, უჩვენოს, თუ საით წავიდნენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. არა ჰყავსთ კაცი, რომელმაც თითოეულს წევრს სა-



ზოგადობისას აღუძრას ენერგია, შრომა. — არა ჰყავს წინამძღოლი, არა ჰყავს მას მოთაფე, გზის მაჩვენებელი. ამ შემთხვევაში ხალხი — ჯარია, და მტერი-კი — უმეცრება, დაუდევრობა, უხერხიანობა, რომელთაც მკიდროდ გადგმული აქვსთ ფესვები ხალხში, და რომლის წინაშე უნდა აღიჭურვოს ხალხი. დიახ, გზის მაჩვენებელია საჭირო. გზის მაჩვენებელი უნდა იქმნეს განათლებული, განათლებულთ გვაძლევს სასწავლებელი. აქედგან სასწავლებელი ერთად ერთი ორგანოა ხალხის ბედნიერებისა — და წარმატებისათვის. ერთად ერთი სასწავლებელი, რომლის იმედიცა აქვსთ სამეგრელოში, — არის სასულიერო სასწავლებელი (დ. ახალ-სენაკში). ამ სასწავლებელზეა დამოკიდებული ბედ-იღბალი მეგრელთა, რადგანაც ყველას, ვინც კი ამ სასწავლებელში სწავლობს, შეხედება მოღვაწეობა ამ ხალხში და იმისდა მიხედვით, თუ რამდენად თვით გონებრივ-ზნეობრივად მაღლა იდგება, იმდენად შეუძლია გავლენა იქონიოს ხალხის განვითარებაზედ. მოსწავლეთა გონებრივი და ზნეობრივი განვითარება და მათი წარმატება-კი, უმეტეს ნაწილად, დამოკიდებულია, მასწავლებლებზე. რამდენათაც მასწავლებელი კარგი წიგნების ჩვენებით, ჩაგონებით და დარიგებით მაღალს აზრს ჩანერგავს მოზარდ თაობის გულში, რანაირს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს, და ჰუმანიურ და კეთილშობლიურ ლტოლვილებათა აღძრავს მოზარდის გულში — იმდენად მოსწავლე შეიძლება გაიგოს თავის დანიშნულება, რომ წრფელის გულით და მხნეობით გამოადგეს თავის მამულსა, რომ იქმნეს თანამგრძნობი წევრი საზოგადოებისა მის გაჭირვებასა და დაღვინების დროს. დიახ, ეს ასეა. მაგრამ, ძლიერ ნაკლებად არიან ასეთი მასწავლებელნი ჩვენში. ზოგიერთი მასწავლებლები მარტო იმას აქცევენ ყურადღებას, რომ მოსწავლეთ გაკვეთილები დააზებრონ, და სხვას არას დასდევნენ. მაგრამ ამ მასწავლებელთა დასს სრულიად არ ვკუთვინის სენაკის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი ბ. ნიკო ჭარია, რომელიც სულით და გულით მოწადინებულია და მუდამ იმას სცდილობს, რომ აღუძრას შეგირდებს სურვილი წიგნების კითხვისა, ქართულის ისტორიის შესწავლისა, სიყვარული საზოგადოდ მოყვებისა და კერძოდ მამულისა. როგორც ვსთქვით, დარიგებას, ქადაგებას შეგირდთა შორის ზნეობრივს მოვალეობისა და შესახებ დანიშნულების დიდი მნიშვნელობა

აქვს, მაგრამ უმეტესად მაშინ, როდესაც შეგირდები გააგრძელებენ სწავლას და მხოლოდ მაშინ შეუძლია მოიტანოს ამგვარ მეცადინეობამ სანატრელი ნაყოფი. ახა რა საზრებლობის მოტანა შეუძლია დაბალს სასწავლებელში მარტო სწავლა დამთავრებულს შეგირდს? იმას კიდევ არ აქვს ჯერ ხასიათი გამაგრებული, იგი მძინარედ უყურებს ქვეყანას, ხალხს, თავის თავს. ახა რას შეიძენენ ისინი დაბებში ან ქალაქებში, სადაც მწერლად დგებიან; სოფლებში, სადაც მეღვინეთეს ადგილს შოულობენ. ისინი აქ არამც თუ არაუფრს არ შეიძენენ, არამედ ისიც დაავიწყდებათ, რაც-კი შეუძენიათ, რაც-კი შეუსწავლიათ. ამიტომ საჭიროა წაქეზება მოსწავლეთა, რომ მათ სწავლა გააგრძელონ საშუალო სასწავლებლებში. მაგრამ წაქეზება თითქმის არაფრს არ უნდა, რადგანაც ყველა მსურველია, რომ სწავლა გააგრძელოს, მხოლოდ სიღარიბეა მათი მტერი და ფრთებს აკვეცს მათს სურვილს. ყველაზედ უფრო ყურადღებას მისაქცევი და შესაზრალეველი გახლავს მათი ნიეთიერი უღონობა; მათთვის ხელის მიწვდენა, მათი დახმარება ამ მზრით სამაღლო საქმეა. ნიეთიერის მზრით დახმარებაშიც, არ შეკვიძლია არ შეენიშნათ, ძალიან მუყიათობას იჩენს ბ. ჭარია. ამ შემთხვევაში ჩვენ საჭიროდ ვხვდით დავასახელოთ ერთი ფაქტი სენაკის სასულიერო სასწავლებლის დარბ მოსწავლეთა ცხოვრებიდან. შარშან სენაკის სასულიერო სასწავლებლიდან გამოგზავნილ იქმნა სემინარიაში 15 შეგირდამდე; მათგან მარტო ცხრა ყმაწვილი წავიდა სემინარიაში, დანარჩენებმა-კი ექვსმა სიღარიბისა გამოვერ მოახერხეს სემინარიაში წასვლა. ხუთნი მათგანი სოფლებში მიიფანტ-მოიფანტნენ და ერთი-კი, რომელმაც პირველ შეგირდად გაათავა სწავლა და ყველაზედ უნიჭიერესი იყო, შეედა მწერლად სენაკში, ერთს აქაურს კანცელარიაში. ეს რომ გაიგო ხსენებულმა ბ. ჭარია, გაუკვირდა და ძლიერად ეწყინა და ბოლოს, როცა ამის მიზეზი შეიტყო, იმ წამსვე წავიდა, გამოიყვანა კანცელარიიდან შეგირდი, მოიხმო იმის მამა და აღუთქვა, რომ მე ვკისრულობ თქვენს შვილს ეუგზავნო ხარჯი სემინარიაში, ოღონდ ეხლავე წაიყვანეთ იგი სასწავლებელში. დღეს ეს შეგირდი, გვარად ლიპარტელიანი, ბ. ჭარიას მეგობრით არის თბილისში და სწავლობს სემინარიაში. გარდა ამისა ბ. ჭარია ხანდისხან სემინარიის ზოგიერთ სხვა მოწაფეებსაც უგზავნის ფულებს. ამისთანა პირი მაღ-

ლობის ღირსია საზოგადოდ ყველასაგან და კერძოდ მალლობასაც უძღვნიან ყველა სემინარიელები—მეგრელები. კარგი იქნებოდა, რომ ამ კეთილს და სამადლო საქმეს მიჰბაძეოდნ დაწარჩენი ქართველი მასწავლებლებიც თქმულის სასწავლებლისა. იქ ქართველი მასწავლებლები რვაზღე—ცხრამდეა. ერთმა კაცმა რაც უნდა ჰქნას, იმდენი ვერა დაიხრება—რა, დაწარჩენებიც რომ ამ კეთილ საქმეში ამისთანა უნარს და ენერგიას გამოიჩინდნ, ძალიან დაიხრებოდა და ბევრი საწყალი შეგირდი ეღირსებოდა სწავლას. რამდენადაც სემინარიაში მოიმატებს მეგრულ მოსწავლეთა რიცხვი, იმდენად უფრო მოეფინება სწავლა სამეგრელოს; ვინაიდან სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი მეგრელები იქნებიან გზის მაჩვენებელი, რომელთაც ეძებს ხალხი და რომელშიაც საჭიროებს. ამავე დროს გამრავლდება სამრევლო სკოლები, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ხალხისათვის, თუ ეს სკოლები კარგს ნიადაგზე იქმნენ ვახსნილი.

ნ. მ.—რიახი.

ბათუმის ეკკლესიის დეკანოზის მ. სიმონ ქიქოძის გარდაცვალებისა გამო.

8 დეკემბერს ქ. ბათუმში გარდაიცვალა სამი დღის ავად-მყოფობის შემდეგ ადგილობრივი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის დეკანოზი მ. სიმონ ქიქოძე (უფროსი ძმა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა). თუმცა ჭირისუფლებმა ყოველივე საშუალება იხმარეს ავად-მყოფის მოსარჩენად, მაგრამ უღმობეღმა სიკვდილმა მაინც თავისი ჰქმნა. მ. დეკანოზის სიმონის გარდაცვალებამ შეაწუხა არა მარტო მისი სულიერი სამწყსო, არამედ მთელი ბათუმის მკვიდრნი სარწმუნოების განურჩევლად. 11 დეკემბერს დაწინაურდა იყო განსვენებულის წესის აგება ადგილობრივ ეკკლესიაში. ამ დღეს, დილის 9 საათზე, მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავის კრებულთ. პირველად მიცვალებულს სახლში გადასადეს პანაშვიდი. შემდეგ მიცვალებული წასვენეს ეკკლესიაზე. თუმცა ამ დღეს ძლიერ ცუდი ამიდი იყო, მაგრამ

თითქმის მთელი ქალაქის მკვიდრი მოვიდა გარდაცვალებულის გამოსვენებაზე დასასწრებლად. ყველას სახეზე იხატებოდა მწუნარება და გლოვა. ყველანი სწუხდნ თავისი საყვარელი სულიერი მამის გარდაცვალებას. ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავის კრებულთურთ. წირვის შესრულების შემდეგ მიცვალებულს აუგეს წესი. როცა წესის აგება შესრულდა, ბათუმის ეკკლესიის მეორე მღვდელმა მ. ა. რაფკვიჩმა წარმოასტკვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენა განსვენებულის მოღვაწეობა და სამსახური. აი ეს სიტყვა:

«დღეს შევიკრიბეთ ჩვენ, ძმანო, ამ ტაძარში არა სასიხარულოდ, არამედ რათა უკანასკნელი პატრივი ესცეთ ჩვენს წინაშე მდებარე განსვენებულს, ჩვენს სულიერს მამას და შევავედროთ მისი სული უფალს, რათა ყოველად მოწყალე ღმერთმა დააწესოს სული მისი სასუფეველსა შინა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, როცა ჩვენ ამავე ტაძარში ვხედავდით ამ სულიერ მამას, როცა ის ჩვენ ყოველთათვის აღავლენდა ხოლმე მხურვალე ვედრებას ღვთისადმი, დღეს კი მასს ვხედავთ კუბოსა შინა უსულლოდ მდებარეს და ამ კუბოდგან გვთხოვს იგი, რათა ჩვენ შევევედროთ უფალს განსვენებისათვის სულისა მისისა.

განსვენებულის ცხოვრება იმოდენად საყურადღებო და საგულისხმიეროა ჩვენთვის, რომ არ შეგვიძლია არ მოვიხსენოთ მისი მოღვაწეობა. თუ მთლად არა, ცოტაოდენი მაინც, როგორც წმიდა ტრაპეზის ღმრთისმამისა, რომელ სამსახურშიც გაატარა განსვენებულმა ორმოც წელზე მეტი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ განსვენებულის სულის ზოგიერთი მაღალი თვისებანი, რომელნიც ცხადად იხატებოდნ მასში, როგორც საზოგადოდ კაცში და განსაკუთრებით სულიერს მწყემსში.

განსვენებული იყო სასულიერო წოდებისაგან, მან შეასრულა სწავლა ტვერის სასულიერო სემინარიაში. პატარაობიდანვე დიდი მიმზიდველობა ჰქონდა სასულიერო სამსახურისადმი და ამიტომ მსგავსად თავის წინაპრებისა მანაც იტვირთა დიდი და ძნელი მოვალეობა სულიერი მწყემსისა, რომლის აღსრულებას ყველანი ვერ სძლებენ, მაგრამ განსვენებული თავის დიდ მოვალეობას მტკიცედ ასრულებდა უკანასკნელს წამამდე. როგორც მუშაველს ღმერთსა

და კაცთა შორის, როგორც სარწმუნოების და ზნეობის მქადაგებელს, განსვენებულს ჩვენს თანამოძმეს, თავისი ხანგრძლივი სამსახურის დროს, მალა ეკავა დროშა ცხოველ-მყოფელი სარწმუნოებისა, სიყვარულისა და ზნეობისა.

მაგრამ განსვენებულმა თავისი ძნელი მოვალეობა გაიორკეცა კიდევ იმით, რომ თავის ნებით მოჰკიდა ხელი უფრო ძნელს და პასუხის საგებელს საქმეს, როგორც არის ხალხის განათლების საქმე, რომელსაც, როგორც პირველს, შესწირა თავისი ძალა, რადგან კარგად ხედავდა მის სარგებლობას. ახალგაზდა სულიერმა მწყემსმა განიზრახა სკოლის გამართვა, რომელშიაც შესძლებოდათ აღზრდა ადგილობრივი სამღვდლოების შეილებს.

მაგრამ როგორც ყოველს კეთილს საქმეს, განსვენებულის კეთილს განზრახვასაც შეეხდა ბევრი დაბრკოლება, მაგრამ ამ დაბრკოლებათ ვერ შეაჩერეს ეს სულიერი მამა, განსვენებულმა მაინც შეასრულა თავის განზრახვა საკეთილდღეოდ გურიის სამღვდლოებისა: მან თავის საკუთარს სახლში გახსნა სკოლა და თავის საკუთარი საშუალებიდან ამკობდა სკოლას საჭირო ნივთებით და კიდევ ასწავლიდა ყმაწვილებს. საზოგადოებამ თან-და-თან შეიგნო ახალგაზდა მწყემსის სასარგებლო მოღვაწეობა და თანაგრძნობას უჩენდა მას ამ კეთილს საქმეში და ამ სახით ეს პატარა სკოლა შემდეგ გადაკეთებულ იქნა გურიის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლად, რომლიდანაც გამოდიან პატიოსანნი და მუყაიანი მუშაქნი ქრისტეს ეკლესიისა.

ერთსა და იმავე დროს განსვენებული იყო ამ სასწავლებლის ზედამხედველად და სჯულის მასწავლებლად ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც მოწადეებს ასწავლიდა საღმრთო სჯულს არა მარტო სიტყვით, არამედ თავისი კეთილი ცხოვრების მაგალითებით.

როცა ბათუმის ოლქი შემოუერთდა ქუთაისის გუბერნიას, განსვენებული გადაყვანილ იქნა ბათუმში, სადაც მისი მეცადინეობით დაარსებულ იქნა პირველი მართლ-მადიდებელი ეკლესია. ეს ტაძარი, რომელშიაც დღეს ჩვენ ვართ შეკრებილნი, რათა უკანასკნელი ამბორება უყოთ განსვენებულს, — მეორე საქმეა გურიის სასწავლებლის შემდეგ, რომლის შესაფერად შემკობას და გამშვენებას ცდილობდა განსვენებული უკანასკნელს წამადღე. უკანასკ-

ნელად განსვენებულმა განიზრახა ამ პატარა ტაძრის გაღება, რადგან კარგად ხედავდა, რომ მართლ-მადიდებელთა რიცხვი თან-და-თან მატულობდა.

განსვენებულის უკანასკნელს მოღვაწეობას მიეწერება სახალხო საკითხავის დაარსება ბათუმში, რომელიც სხვა-და-სხვა კეთილ შემწირველთა მეცადინეობით დღეს წარმოგიდგენს მშვენიერს საშუალებას, რათა გავრცელებულ იქნეს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი განათლება. მეორეს მხრით განსვენებულის მეცადინეობით დაარსდა ბათუმის ეკლესიასთან სამზრუნველო. რომელსაც სახეში აქვს გამშვენება განსვენებულის მიერ დაარსებული ეკლესიისა და მისი საჭიროების დაკმაყოფილება.

ასეთია მოღვაწეობა განსვენებულის სულიერი მწყემსისა, როგორც შუამავალის ღმერთსა და კაცთა შორის, როგორც ქრისტეს მხედრისა, როგორც ღვთის საიდუმლოთა მშენებლისა, თუ არ მოვიხსენებთ სხვა მის მოღვაწეობას, რომლითაც დამშვენებულია მისი ნამსახურებითი სია.

ბოლოს თუ მივაქცევთ ყურადღებას განსვენებულს როგორც სულიერს მწყემსს და კაცს, აქაც ბევრს რამე მისაბაძავს დაინახეთ: განსვენებული განუწყვეტლად დადოდა ტაძარში და მუდამ მახურობდა ღვთის ტრაპეზის წინაშე; დიდის სიხარულით ეგებებოდა ყოველს კეთილს საქმეს. განსვენებულის ოჯახი იყო ნამდვილი ქრისტიანული ოჯახი, რომელსაც ასულდგმულებდა თვითონ განსვენებული თავის კეთილი ცხოვრებით. მისი შეილები და შეილის-შვილები, აღზრდილნი ქრისტეს სარწმუნოებისამებრ, მსვაესად თავის ღვთის მოყვარე მამისა განუწყვეტლად დადიოდნენ ტაძარში ღვთისმსახურების მოსასმენად და კრძალვით იცავდნენ ეკლესიის წმ. წესდებულებას, თუმცა ყველანი საერო წოდებისანი არიან. როგორც ქმარი, განსვენებული იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე მეუღლე თავის ცოლისა, რომელთანაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა წყნარად, თანხმობით და სიყვარულით, ხოლო როგორც მამა, განსვენებული მზად იყო შეეწირა ყოველივე თავის შვილების გამოსახრდელად, რომელთაც კიდევ გამართლეს თავის მზრუნველი მამის შრომა.

ყველა ამაგების შემდეგ, გასაკვირველი არ არის, თუ განსვენებულის ასეთი მოღვაწეობა და მისი თვისებანი ღირსეულად დაჯილდოებულ იქნა როგორც ღვთისაგან, ისე ხალხისაგან: ჭეშმარიტად ზე-



ციურმა მწყემს-მთაფარმა დააჯილდოვა განსვენებული ხანგრძლივი სიცოცხლით, ხოლო მთაფრობამ აღბეჭდა მისი სამსახური მრავალი ორდენებით, რომელნიც ამშვენებდნენ მის მკერდს».

სიტყვის წარმოთქმის შემდეგ განსვენებულის გამოსათხოვრად და საამბორებლად ჰირველად მიბრძანდა უოვლად სამღვდელიო გაბრიელი, რომელმაც ბევრი მწარე ცრემლი დადგარა თავისი საყვარელი ძმის კუბოზე. შემდეგ მიცვალებული წაასვენეს რკინის გზის სადგურზე, რადგან აქედგან მიცვალებულის გვამი უნდა წაესვენებიათ გურიაში, თავის სოფელს ბახვს. მრავალი ხალხი გაჰყვა მიცვალებულს დანიშნულს ადგილამდე. იქ მიცვალებული შეასვენეს ვაგონში და წაასვენეს სოფელს ბახვს. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო მწყემსო, სიმონ!

მ ა მ ბ რ ი ს წ ა რ ი ლ ი.

სუწათი ცხოვრებამ.

(დასასრული \*)

მანო დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა. შემდეგ აღვა, გაიარ-გამოიარა ოთახში, აათვალიერა ყოველივე ირგვლივ და დაიწყო: «განა ღირს ამის შემდეგ სიცოცხლე... განა არ უნდა მეზიზღებოდეს მევე ჩემი თავი?! რა კაცი ვარ ქვეყანაზე!.. რისთვის ვცოცხლობ?! იმიტომ რომ იმ ფეხ-მტკივანი მუშის ქირილამ ნახევარი მე მხედეს!.. არა ეს აუტანელია! ყველას ავიტან, ამას კი ვერა!.. ესეც რომ ავიტანო მერე მიხაკოს როგორ-ღა შეეხედო?!.. განა არ ჩამაფურთხებს სახეში?! არ მეტყვის: ეს იყო შენი ოცნებაო!.. ჩვენ ამხანაგები ვიყავით, მეგობრები, ერთის აზრისანი... შემდეგ დავშორდით ერთმანეთს,—იმ პირობით, რომ ერთმანეთისათვის არ გველალატნა...»

ახლა ის სხვისთვის ზრუნავს, მე-კი ჩემთვის... ოჰ, ბოროტებაე! კაცის თავმოყვარეობაე!.. ოოხ! რა ვუთხრა იმ დიდებს, რომელშიდაც მე შევეტოპე და გამოსასვლელი გზა ვერ მიმიგნია!.. რა ვუთხრა იმ გაუმაძღრობას, სიხარბეს!.. არა, უთუოდ უნდა თავი მოვიკლა... მარტო თავის მოკვლას შეუძლია გამამართლოს მიხაკოს თვალში... სხვა გზა არ არის... სხვა ვერა მიხსნის რა ამ სირცხვილისაგან... ვითომ მართლა არ არის ხსნის იმედი!.. ჩაფიქრდება, «არა, არ შეიძლება, მან რომ მომიტეოს, მე ვერ შევეუნლობ ჩემს თავს ასეთს დანაშაულობას... მიხაკომ არ უნდა მნახოს მე, არ უნდა მნახოს ამგვარს ცხოვრებაში!.. ამასთან მე ვერ ავიტან შრომას, ჩემი სხეული ნებიერობას არის მიჩვეული და არა ტლანქის მუშაობსა!.. ჩემი გული გართობასა და შექცევას ჩვეული ვერ გაუძლებს სოფლის ყრუს, უფერულს ცხოვრებას... არა, მე სხვისთვის არა ვარ დაბადებული... მე ჩემთვის დავიბადე, ჩემთვის გავიზარდე და ჩემთვის ვისწავლე... რადგან ყოველივე ჩემთვის მოხდა, მე არც სასარგებლო კაცი ვარ და, რადგან სასარგებლო არა ვარ, მანებელი ეყოფილვარ, დიახ, მანებელი ვარ!.. ვენახის მანებელი ჭია უნდა მოისპოს, თუ ვენახს კეთილ დღეობა უნდათ... მივა და დაჯდება სტოლთან, აიღებს ხელში კალამს და განაგრძობს: «რა უნდა დავწერო?... ვისთვის უნდა მიმეწერა?... ჰო, მართლა, ეს უნდა დამეწერა;—დაიწყებს წერას:—«ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთ»... გაჩერდება და ლაპარაკობს: «იტყვიან: უიმედო სიყვარულმა მოაკვლევინა თავიო... ჰმ! დიახ, ასეა. სხვა მიზეზი ჩვენში არა იციან რა თავის მოკვლის: ან სიყვარული, ან შეშლილობა. ვინ იცის, იქნება ჭეა-შეშლილადაც დამსახონ!.. სასაცილოა და თან სამწუხაროც... რამდენად იწრო ფარგლით სჯიან ადამიანის ცხოვრებას!.. ჩაფიქრდება: არა, ამას ვერა შეშლის რა... ეს უკანასკნელი დღეა, რომელსაც მე ვალამებ... დიახ, უკანასკნელი დღეა!.. ეს ის დღეა, რომელმაც მე ამიხილა თვალები და დამანახვა ჩემი შეუწოდებელი სიბოროტე... ამიტომ ის უკანასკნელი უნდა იყოს ჩემს ცხოვრებაში, რომ მასზე მოგონებამ არ აწამოს მეტად ჩემი გული!.. ამბობენ თავის მოკვლა ძნელიაო... ცრუობენ, უსინდისოდ სტყუიან!.. აბა ენახოთ, თუ არ სტყუიან... აიღებს ხელში რეველვერს: «უნდა ვუთხრა ვინმეს მშვიდობა... მაგრამ ვის უნდა ვუთხრა?!»

\*) ახ. «მწყემსი»-ს № 1.

ვინ შეიწუხებს ჩემთვის თავს, გარდა რამოდენიმე პრანჭია—ქალებისა?!.. მაშ სჯობს ისევე დროით გავათავოთ!.. შესძახებს ის, შემართავს რევოლვერს და იმ დროს, როცა უპირებს ჩანახს ჩაშლას, იღება კარები და ტყეიასავით შემოვარდება ვიღაც ახალგაზდა კაცი.

—შესდექ, საცოდავო! მრისხანედ შეუძახებს ის.

—მიხაკო!.. ძლივს გასავაგონის ხმით ამოიყრან. ტალებს ვანო და გონება დაკარგულივით ჩაჯდება საეარძელში.

საოცარი სანახავი იყვნენ ამ დროს ისინი. მიხაკო ისეთის თვალებით შესცქეროდა თავის ხსნილს, რომ ყოველივე მისი სულის მოძრაობა ცხადად იხატებოდა მის სახეზე. მრისხანება, სიძულვილი და სიბრალოლე ერთად არეულიყვნენ მიხაკოს თვალეში და მოულოდნელის მწუხარებით აპირებდნენ ვანოს თავს დატყდომას. ვანო კი ამ დროს შიშისა და სირცხვილისაგან ათრთოლებული საშინელს მტანჯველს მდგომარეობაში იყო. თავჩაქინდრული. ის ვერ ბედავდა მიხაკოს შეხედვას. მისი თვალეები უგრძნობად შესტერებოდნენ იატაკს, თითქო იქ ეძებდნენ შევლის იმედს. ხელეები და ფეხეები დავლა ნაცემივით გაშეშებოდნენ. ის ემსგავსებოდა ქურდობაზე შესწრებულს დამნაშავეს.

—საბრალო გლახაკი!.. რალაც სიბრალოლეთა და ზიზლით წარმოთქვა მიხაკომ. — სულ მოკლე ცხოველი!.. დაცემული სული!.. კიდეც იტყვი, მეც კაცებში ვურევივარო??.

—კმარა... ძლივს ამოილაპარაკა ვანომ—ცოტათი გამორკვეულმა მიხაკოს გინებით.

—მართალია, კმარა, ჩადგან უბრალო წყლის ნაყვავა. მაგრამ უარესი ლანძღვის ღირსი კი ხარ, მითი რომ რამე ვაკეთებოდეს. ახლა მაინც ამისი დრო არა მაქვს, სხვა მინდა გკითხო: თავს რისთვის იკლავდი?

ჩამოვარდა წუთის სიჩუმე, რომლითაც ისარგებლა ვანომ, ილო თავი და თამამად შეხედა მიხაკოს თვალეებში, თითქო იქ უნდოდა ამოეკითხა საპასუხო მასალა.

—შენმა წერილმა შემაწუხა, სრულიად გარკვევით მიუგო მან.

—წაიკითხე ბოლომდ ს? იგრძენ კი რაც ეწერა შეგ?! მიხვდი მისს შინაარსს?

—ყოველივე მარცვალ მარცვალ ავკრიფე, მიუგო ვანომ, რაკი შეატყო მიხაკოს მორბილება.

—მერე ამ სამარცხენო შედეგს ჩასჭიდე ხელი მას უკან?! ნუ თუ ამის მეტი უკეთესი საშუალება არა მოგგვბოვებოდა რა თავის სახსნელად?! ნუ თუ იმდენად განებივრებულია და დაუძლიურებული შენი სხეული, რომ სხვა ღონის ძიების ხმარება არ შეგეძლო, გარდა ამ საზიზლარის იარაღისა, რომელიც ასე უმოწყალოდ და ასიკეთაობით აქრობს სიცოცხლეს უკეთესს ბუხების ქმნილებათა? მე მოვსტყუედი შენში. შენ აღარა ხარ ის, რაც იყავი და, სჩანს, არც შეგეძლია ამ მდგომარეობილამ გამოხვლა. ზეგონაკი, რომ შენ თვითონ წამიძღვებოდი მე წინ და მასწავლიდი, მაგრამ განგებამ სხვაგვარ გადასჭრა. მე ვიცი ყველა, რასაც ელაპარაკებოდი შენ თავს ამ რამოდენიმე წუთის წინად. მე მოვყევი ჩემს წერილს და ყურს გივადებდი კარებთან. დიახ, მე გადავარჩინე ერთი სული, მაგრამ რისთვის-კი—არ ვიცი...—მისთვის, რომ ის გამოიხსნა შენ იმ მდგომარეობილამაც, რომელშიდაც ახლა არის, როგორც გამოიხსენი ის სიკვდილისაგან!.. მიუგო ვანომ.— როგორ?! შენ თხოულობ?!. შენგან მესმის ეს! შენ, რომელმაც უარ ჰყავ ყოველივე კეთილი ცხოვრების ასპარეზზე, რომელიც ფარისეველობით მატყუებდი და მიხევედი თვალეებს შენგან შორს მყოფს, რომელიც ისეთი უძლიურია, რომ თავის მოკვლის უკეთესი სახსარი ვერ მოუნახავს თავის არსებობაში და სულელურს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა უბრალო შემთხვევით, შენ, რომელიც ასეთის დიდებით ცხოვრებას ჩვეულია, მეუბნევი, მთხოვ ამ მდგომარეობილამ გამოხსნას?!.. თუ კიდეც ფარისეველობით გინდა შემომეპარო?... — არა, მიხაკო, მე აღარა ვარ ის, რაც შენ ჩემზე გავიგონია. მე გადავხალისდი მაშინ, როცა შენ დაგინახე შენმა სახემ მომგვარა მე ძალი და სიმხნე. შენმა სიტყვებმა აღმიძრეს მე წასული დროეები. მე ვგრძნობ ჩემში იმ ნეტარს ცეცხლს, რომელიც გინთია შენ. შენმა თვალეებმა გადმომცეს მე ის ცეცხლი და სულ სხვა ჰანგზე ააქლერეს ჩემი გულის სიმები. შენ შეგეძლია შექმნა ჩემგან ის, რაც არა ვარ და ის, რაც გინდა შენ. მე ვცდებოდი. მდიდარმა და ნაზმა ცხოვრებამ, უშრომლად მოპოვებულმა სიმდიდრემ, სიტკბოებით ავისილმა გარემოებამ და იმ უზრუნველმა საზოგადოებამ, რომელშიდაც მე ვტრიალებდი, ჩამავდეს მე გამოურ-



კვეველს მდგომარეობაში. ჩემი ხასიათი დაუძლიურდა, დასუსტდა და მოიშალა ამნაირი ცხოვრებით. ჩემი გონება დახშო ბრწყინვალე ბედმა. თვალები ამიბა მოზრპყევიალე წრემ და მის გარე ევრას ეხედავდი. უღარდღელობა გამიჯდა ძეალსა და რბილში და შარბათის ნექტრით დამტკბარი სიამოვნებით ეუყურებდი აწმყოს და არ მაფიქრებდა მომავალი. დიან, ასეთია აღამიანის ბუნება. სანამ მდღში ხარ, სხვა ყოველივე მივიწყებული გყავს და მარტო შენი «მე»-ლა გახსოვს. ის «მე» შეგქნია სათაყვანოდ და სადიდებელ საგნად. მაგრამ თუ ბედმა გიმუხთლოა და რაიმე შემთხვევით, შენც სავივაგლახოდ გაგისხდა ცხოვრება, მაშინ კი გაიხედავ გვერდზე და აათვალთვრებ შენებრ დანაგრულთა კრებულს, რომ მითი მაინც მოიოხნო გული, რომ შენ არა ხარ პირველი მაგალითი, რომ მარტო შენი ცხოვრება, შენი პირადობა არ არის გათელილი, შეურაცხყოფილი და დამონავეებული. ასეა. მე ეს მესმოდა აქამდინაც, მესმის დღეს დავის არ ესმის, მაგრამ როგორც სხვებს, ისე მეც არ მიწლოდა შემესმინა, მცოდნოდა და ოსტატურად ეუწვლიდი გვერდს. მაგრამ... ოხ!.. მადლობა ღმერთს!.. მე განეთავისუფლდი. შენმა წერილმა შეარყია ჩემი არსება, მან გამაღვიძა და ამიხილა ძალად აბმული თვალეზი, ჩამახედვა ჩემი გულის სიღრმეში და დამანახვა ჩემი ყოველივე ბიწიერება, მანკიერება, დანაშაულოა და შემამძულა ჩემი თავი. სირცხვილის ოფლმა დამაწურა თავით ფეხამდის და გადავქვიტე ჩამედინა უარესი სისულელე: თავის მოკვლა, მაგრამ აქაც კიდევ შენ... შენ დამიხსენი მე და ელოცავ დღეიდგან იმ წუთს, იმ საათს და იმ დღეს, როდესაც შენმა წერილმა და შენ გამომახედეთ ქვეყანაზე და დამიბრუნეთ ჩემი მოვალეობა, ჩემი დაკარგული... მაგრამ არა, დაკარგული კი არა, დახშული აზრები. ეხლა მე, ჩემო მიხაკო, ისეთივე კაცი ვარ, როგორც შენ და კვლავ...

—კიდევ მეტი, ჩემზე უკეთესი!! მღელვარებით გააწყვეტინა მიხაკომ, რომელიც სიამოვნებით და რაღაც იმედ-გაღვიძებული ბედნიერების ღიმილით შესტკეროდა თავის მოძეულს, მოზრუნებულს მეგობარს, და გიჟურის აღტაცებით გადაეხვევა ენოს, რომელსაც კოცნაში დაასრულებინებს გაწყვეტილს სიტყვას:—«და კვლავ მსუტრს შენი მეგობრობა!».

ტიტოსია.

## თამარ დედოფალი.

ბევრი შესანიშნავი და გონიერი მეფეები ჰყოლია საქართველოს, რომელთაც თავისი სიკოცხლე შეუღწირავსთ სარწმუნოებისა, მამულისა, და ხალხისათვის, მაგრამ ჩვენს ხალხს არც ერთი ჩვენი მეფეების სახელი და საქმენი ისე არ ჩანერგია გულსა და გონებაში, როგორც თამარ დედოფლის სახელი და მოღვაწეობა. ხშირად შეხედებით ქართველს კაცს, რომელმაც არც ერთი საქართველოს მეფე არ იცის, მაგრამ ამავე დროს ვერ ნახავთ ჩვენში ისეთ კაცს, რომელმაც არ იცოდეს თამარ დედოფლის სახელი და ცოტა რამ არ მოგითხრას მისი ცხოვრების შესახებ. თთვე ისე არ გაეა, რომ ჩვენს რედაქციაში წერილი არ მივიღოთ. ამ წერილებში გეთხოვენ, რომ წერილების მომწერთ გაუგზავნოთ თამარ დედოფლის ცხოვრების ისტორიული მოთხრობა. უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ამ უკანასკნელს დროს ჩვენ მივიღეთ წერილები რუსეთიდან. წერილებში გეთხოვენ გაუგზავნოთ მათ თამარ დედოფლის ცხოვრების ისტორიული აღწერილობა სურათით. ზოგნი წერილებში თამარ დედოფალს წმიდანად რაცხვენ და მის ხატს გეთხოვენ... დიდად სამწუხაროა, რომ დღემდის ჩვენში არ მოიპოვება ისეთი წიგნი, რომელშიაც მოკლედ და გასაგები ცნით იყოს აღწერილი ჩვენი მეფეების ცხოვრება და მოღვაწეობა. საქართველოს ისტორია ეხუშტისა განსვენებულის ღიმიტრი ბაქაძის გამოკვლევის დამატებით სახალხო საკითხავ წიგნად სრულებით არ ვარგა. არას კიდევ საქართველოს მოკლე ისტორია, შედგენილი პატრეცემულის მ. ჯანაშვილისაგან, მაგრამ სახალხო საკითხავ წიგნად, ვგონებთ, არც ამ წიგნმა ივარგოს, რადგან მის ავტორს ამ წიგნის შედგენის დროს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა ჰქონდა სახეში, და არა მდაბიო ხალხი. იმედი გვაქვს, რომ ამ ფრიად საყურადღებო ნაკლს ყურადღებას მიაქცევენ და ხალხის ამ სასიამოვნო სურვილს დააკმაყოფილებენ. მანობამდე ჩვენ, შეძლებისა და გვარ, ვეცდებით დრო და დრო ებეჭდოთ ჩვენს გამოცემაში საქართველოს შესანიშნავ მეფეთა ცხოვრების ისტორიული მოკლე მოთხრობა. პირველად ებეჭდავთ თამარ დედოფლის ცხოვრების ისტორიულ აღწერილობას.



### თამარ მეფე.

1184—1212 წ.

თამარი იყო შვილის-შვილი საქართველოს მე-სანიშნავი მეფის დავით მეცამისა, აღმაშენებლად წოდებულია და ასული მეფის გიორგისა. თამარი მეფობდა სულ, როგორც ქართული მატყანები მოგვითხრობენ, 28 წელს. ამ მოკლე დროს განმამელობაშია მან იმოდენი კეთილი და საქები საქმეები ჩაიდინა თავის ბრძნული და გონიერული მეფობით, რომ თავისი სახელი საუკუნოდ უკვდავად დასტოვა.

გიორგი მეფეს თამარს გარდა სხვა შვილი არ ჰყავდა. ჰატარაობიდანვე თამარი მიაბარეს აღსაზრდელად მის მამიდას რუსუდანს, რომელიც მეტად გამოცდილი და განსწავლული ქალი იყო. თამარმა თავის მამიდასაგან შეისწავლა ყოველგვარი სიბრძნე იმა დროისა. იგი ღვთისაგან უხვად დაჯილდოებული იყო ნიჭითა და გონებითა და ამიტომაც იგი, თითქმის, ყველა საქართველოს მეფეებს აღემატა თავისი ჭკუა-გონებით და ზრდილობით.

თამარის გამეფებამდის საქართველო არ იყო დაძაბუნებული გარეშე მტერთაგან. როგორც ჩვენი მატყანე მოგვითხრობს, ბერძენი, ინდიელი, არაბელი, სულთნები ხორასანისა, მისირიისა, იკონიისა, აგრეთვე ხაზარეული, ალანნი, აბაზგნი და ყველა ხალხები მალრუბით მაშრუყამდის ეძიებდნენ საქართველოს მეფის თამარის მამის გიორგის მეგობრობას, მაგრამ ამავე დროს ძლიერ შურის თვალით უყურებდნენ ყველანი საქართველოს.

მეფის გიორგის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზედ ავიდა თამარი. თამარი გვირგვინოსან იქნა ქალაქს თბილისში. ამ დროს თბილისს ამისთანა უპარატესობა ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ მეფეების გვირგვინოსანების წესს ასრულებდნენ არა თბილელნი, არამედ სხვანი. როგორც მატყანედან სჩანს, თამარს გვირგვინოსანების დროს ხმალი მოართვეს დიდებულებმა: ვარდან იძემ, ბერიძემ, ამანელიძემ და სხვ. ხმალი შემოართყა თამარს რაჭის ერისთავმა კახაბერმა. გვირგვინი დაადვა მას თავზედ ეპისკოპოსმა ანტონ ჭყონდიდელმა. გვირგვინოსანება დიდის ამბით და ნადიმობით ილღესასწაულეს. თამარმა გამოუცხადა ხალხს: მე თავს დავსდებ ჩემ ქვეშევრდომთა დღეკეთილობასათვის, რადგან ხალხის დღეკეთილობა შედგენს ჩემს დიდებას და სიმდიდრეს; მე მზად ვარ გავადე ამ ქვეყნიდამ არა რაისა მექანე. თამარის ჭკუიანურმა მსჯელობამ, ზრდილობიანმა სიტყვა-პასუხმა და მისმა მომხიბლავმა სილამაზემ,

რომლითაც იგი ჭკუა-გონებასთან ერთად მდიდრად იყო დაჯილდოებული ბუნებისაგან, აღტაცებაში მოიყვანა ხალხი.

დასაწყისშივე თამარმა დიდი გამოცდილება დაიწყო ჭკუა-გონება გამოიჩინა მოხელეების ამორჩევაში ჯარების უმფროს სპასალარად დანიშნა სარკის მხარგრძელი. ეს კაცი დიდი გამოცდილი იყო ომის საქმეებში. მასვე მიანიჭა უმფროსობა ერისთავებზედ, ასე რომ სარკის მხარგრძელი იბარებდა ჯარებს ერისთავებისაგან. ხაზინადრობა მიანიჭა კახაბერს ვარდან იძეს. ვარდან დადიანი დანიშნა ციხეების, ქალაქის ჯარების, ჯაბახანების და იარაღების უფროსად. დანიშნა ერისთავები ძანეთში, ქართლში, ახალციხესა და აფხაზეთში, რაჭაში, სამეგრელოში და სხვა მესამე ნაევ კუთხეებში. ერისთავები არჩევდნენ სამართალს, კრებდნენ ხარჯს და ომიანობის დროს ჯარს კრებდნენ. როდესაც საჭიროება მოითხოვდა, ყველა ეს ზემოხსენებულნი პირნი სასახლეში იკრიბებოდნენ, სახელმწიფო რჩევაში მონაწილეობას იღებდნენ და მეფესთან ერთად ისხდნენ, როდესაც სხვანი ფხვნილად იდგნენ მეფის წინაშე.

ხალხი ძლიერ კმაყოფილი იყო თამარ დედოფლის ამგვარი გონიერული მეფობით, მაგრამ მიშობდა მის უმემკვიდრეობას. ამასათვის ერთს სახელმწიფო რჩევაზედ არჩიეს და გარდასწყვიტეს თამარისათვის ქმრის მოყვანა. თამარის ქმრობას მრავალნი დიდებულნი მეფის შვილები ნატრობდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ხალხმა ისურვა, რომ თამარის ქმრათ ყოფილიყო რუსეთის მეფის დიდი მთავარის ანდრიას შვილი გიორგი, რომელიც ამ მიზნით კიდევ მოიწვიეს საქართველოში.

რუსეთის მეფის შვილი გიორგი მოვიდა საქართველოში და ჯვარი დაიწერა თამარზე. ქორწინების დღე დიდის ამბით ილღესასწაულეს. ამ შემთხვევისა გამო თამარმა დიდი მოწყალება დაურიგა ეკლესიებს, მონასტრებს, ღარიბებს და საწყლებს.

თუმცა ყველა გარეშე მებოძელი სახელმწიფოები თამარის მამას გიორგი მეფეს სძლენობდნენ და მეგობრობდნენ, მაგრამ ნიადაგ გულში ჰქონდათ საქართველოს დაპყრობა, აზნობა და ამ ქვეყანაში ქრისტიანობის ამოფხვრა და მის ნაცვლად მაჰმადის სჯულის გავრცელება.

(შემდეგი აქნება).

დავით ჩუბინაშვილის ხელთ-ნაწერ ბიბლიო-  
თეკის გამო.

(წერილი პეტერბურგიდან).

როგორც მოგეხსენებათ, მდიდარი და ძვირფასი ბიბლიოთეკა ხელ-ნაწერებისა, შეგროვილი განსვენებულ პროფესორ დავით იესეს-ძის ჩუბინაშვილის მიერ ხანგრძლივის შრომითა და მცვალინობით, მისმა მემკვიდრეებმა შესწირეს «ქართველთა-შორის წერაკითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას». სია ბიბლიოთეკისა უნდა შედგენილიყო პროფესორ ა. ცაგარლის ზედამხედველობით. ესლა ამ სიის შედგენა უკვე დაუწყიათ, ამ მოკლე ხანში სულ გათავდება მისი შედგენა და მთელი ბიბლიოთეკა გამოიგზავნება თბილისს დანიშნულებისამებრ. ხელთნაწერებთან ერთად გამოიგზავნება ის წიგნებიც, რომელიც შეეხება კავკასიასა, რომელთაც აქვთ რაიმე კავშირი და დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანასთან. ამგვარი წიგნები უკვე გადარჩეულია და სიაც ჩქარა შესდგება.

განსვენებულის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა სიგელ-გუჯრების ასლები ერთს დიდ წიგნად შეკრული და ფრიალ საყურადღებო ცნობებით საესე. მოიპოვნა მცფეთა სიგელ-გუჯრებიც, რომელთა შორისაც ერთი დიდად საყურადღებოა. ხელთ-ნაწერებს შორის ბევრი ისეთი მანუსკრიპტია, რომელიც, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არ მოიპოვება «წერაკითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში. ასეთია, მაგალითებრ, თეიმურაზ ბატონიშვილის «ვეფხისტყაოსნის» განმარტება, თავდაუზნაურთა ჩამომავლობის ისტორიის მასალა, სიები ძველის წიგნებისა.

თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის გადათვლიერებამ და დ. ჩუბინაშვილის ხელთ-ნაწერების დაწვრილებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ძვირფასი წიგნთსაცავი დ. ჩუბინაშვილის შესუსყინდია, ან სხვა გზით შეუტყნია.

რაცა შეეხება სხვა-და-სხვა ენაზედ ნაწერს წიგნებს, ამათ შორის არის ისეთი თხზულებანი, რომელნიც არ მოიპოვებინ არც თბილისსა და არც მოსკოვში. ამ მხრივ «წ. კ. საზოგადოება» იძინს ფრიალ შესანიშნავს საისტორიო მასალას. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა რუკანიც, რომელნიც აგრეთვე გამოიგზავნება თბილისს.

განსვენებულის საკუთარ ხელ-ნაწერთ შორის აღმოჩნდა ცალკე წიგნები, ლექციები, მოკლე გამოკვლევანი, რომელნიც შეიძლება დაიბეჭდოს, თუ «საზოგადოებას» ხარჯი არ გაუჭირდება.

განსვენებულ პრაფ. დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში ერთი საინტერესო ხელთნაწერი ენახე. ეს ხელთნაწერი გასწავთ: «განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, ქმნული მეფისა გიორგი მეათცამეტის ძის თეიმურაზის მიერ, კავალერისა და სრულიად როსიის ს. პეტერბურგის აკადემიანაუცისა, პირველთა ელენთა შორის აღრიცხულისა პოჩოტნოი ჩლენისა და დანიის საკაროლოს კოპენლაგენის სამეფოს სანტიკვაროსა შეკრულებისასა შინა პირველთა ელენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა».

შიკველს გვერდზედ თავის თხზულებისა ბატონიშვილი თეიმურაზ დასწავლით ახსნათებს თავისს ნაშრომს—იგი იქნება: «განმარტება ლექსთა მათ მადლისა ფრანსისათა, რომელსიცა აჩიან შეკლნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხვათა ენათგან ქართულს ენას შინა. და აქა «ვეფხისტყაოსნისა» სტიქსთა შინა ხმარებულ აჩიან, რომელნიმე ლექსთა ამათგნი გვართა აღმოსაყეთისა მესტიანთა მესტიანთა მინილ აჩიან».

განმარტება მოჭრეულია ერთს დიდს ხელთნაწერს წიგნში და შეიცავს ახსნას, თითოეულ სტიქის და ტაქსის რიგობაზედ, ძველ სიტყვებისას და მთელის წინადადებისას. მაგალითად:

სტიქ. 2) ტაქსი 1) «მიჯნური ქართულად ეწოდების, აჩაბულად ბაჯნუნი ეწოდების, ტრფილად გამოითარგმნის.

ტაქსი 4) ვასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა. ამას უძღვინს ერთს გვერდს ახსნას. ბატონიშვილი განმარტებს აჩრს რუსთაველის სიტყვებისას. ეს ხელნაწერი შეიფარსა, გარდა იმისა, რომ ახსნილია ძველი სიტყვები, იმათიც, რომ შიგ ჩართულია ჩვენის მწერლების შესახები ცნობანი. ეს ცნობანი შეგვსჯდა რუსთაველისა, მასე ხანკელისა და შავთელის შესახებ და მოგვევს აქ ბატონიშვილის სიტყვებით:

«რუსთაველი ესე ადგილობითს ნათესაობას ნიშნავს, სადაურცი იყო. სახელად შოტტა ერქვა, ანუ შოთთა. შოთთა დიად ძველი სახელი აჩრს, აჩმაზ კეჩხის სახელივე აჩრს შოტტა და ესე სახელი დაშთა

შემდგომად კვლავ მისხულებსაც ივერიელთა შორის. შოთა რუსთაველი მტკუტკლეთ უხუცესი ანუ მოლაჩეთ უხუცესი (გინა მინისტრი ფინანსი) იყო დიდებულისა მეფისა თამარისა და დიდად ბძენი. რუსთაველი ამისათვის ეწოდება: რუსთავეის ქალაქი მეფედ სამთავრო ქალაქი იყო და რუსთაველი შოტოთ იმ ქალაქისა და გაკომის მისისა მთავარი იყო და თვითცა მუნებური. რუსთავეის ქალაქი არის ბასტან ქალაქი, რომელიცა პირველად აღშენებულ არს ქართლეთის ციხისა მიერ. ესე ქალაქი მტკეპის პირსუდ, გაღმით, კასეთის მხარეს არის, თბილისის ქვემოდა, თბილისიდან ექვსი ან ექვსნახევარი მილი იქნება ნიშნით (ანუ გარშემოელი). ეს რუსთავეის ქალაქი ესლად დაქვეყნდა და იმადგილს ხატებს ეპარხან, მრავალი შენობები არის და რღვეულობისათვის გულ-ლახვარ-საბოლი, ე. ი. გულითა მასთვის მოწულული, გინა მტკეპელი).

ხელთაწილის ბოლოში რუსთაველის შესახებ კიდევ შემდეგ ცნობას ვხეულობთ: «რუსთაველი იყო მთავარი რუსთავეისა, თამარისაგან დანიშნული. გარკვევანი მის ისტორიაში კვითხულობთ: მეფემან რუსუდან მოიხილა წარგზავნა თათართა თან მის თვისისა დავითისა და აღიღო შინა და ფიცი მათგან უგნებულობისა, ხოლო მოციქულად გაგზავნა თათართა შიშით მთავარი თვისისა, დიდებულნი კაცნი შინ შე და ავჭ და ვაჭმ გუჩიელი და ერეთის ეკისთავი შოთა, რომელიც მელის სეფობისათვის ყუბრობით ისენიება... რუსთაველი იყო აზნაურთა წარჩინებულთა შთამომავლობისა, ყოველთა თანამედროეთა აღემტებლად სიკეთითა, ზნეობითა, სწავლულებითა, მშენიერებითა. შექნა «გეგნის ტყარსანი» ბძინებითა თამარისათა. იგი შეწყობილია ძველსა ქართველთა აზნაურობათა ჩვეულებათა და ხარკტრისა ზედა ენისა ჩვენისა... იგი იყო დიდი პატივოსანი. სხვანიცა წიგნი მსმენიეს მრავალთაგან, შოთა რუსთაველისა ნათესავნი არიანო, მაგრამ ჯერად ვერა მიკუმთვიკო... წავიდა შოთათა იერუსალიმად და შევიდა მონასტრისა შინა ქართველთასა, რომელიც აღშენებულა მირიან I და კასტანგ გარგასლანისაგან სახელზედა ცხოველს მყოფელს ჯვარისასა და განახლდა შოთათამ მონასტერი იგი. იყო მონასტრისა შინა სახითა ერის კაცისათა და დაეფლა მუნვე.

სტ. 1589, ტ. 1) ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა. მასე ხონელი მდივან-მწიგნობარი ყოფილა მეფის თამარისა (ხონი იმერეთში არის). უწინარესთა ყამთა ხონი ქალაქი ყოფილა, ახლა მუნ ეკ-

გლესია არის და სოფელი-დაბა. მასე ხონელს დაუწერია ამირან დარეჯანის მის წიგნი, დიად მშენიერი ზღაპარი გმირთა და ძლიერთა მამრთა ბძმლანი, რომელიცა განიყოფების ათოთხმეტ კარად.

ტ. 2) აბდულ მესია შავთელსა ლექსი მას უქეს რომელსა. აბდულ მესია იყო ადგილით შავთით, ეს არს მამული სამცხისა ახალ ციხის გაკომები. ესე იყო მდივან-მწიგნობარი დიდისა თამარისა. ესე ქართველთა პატივოსანი შორის მალა გმირი არს. აქვსთ შეთხზულთა მის მიერ სტისთა მალა ფიქსა, რიფიანი სხვა-და-სხვა გვარად სთარგმანება, ტკბილი ლამინიკი აზრითა შესაბამიერთა, საესე მშენიერებითა ლექსებისათა შემკობილი და საქებელი. აბდულ მესია ითარგმნების მონად ქრისტესა, სახელად ეწოდა მას. ამისნი გვქონან ლექსნი შესხმანი სამკებრენე თამარ მეფისანი, ხოლო გაუკეთებეს მის სტისად წიგნი. აბდულ მესია სახელდებდეს წიგნსა მას, რომლისთვისცა იტყვიან, რომელ ფიქსისა მალაღისა ხელაგებითა ყოფილან სტისნი მისნი შეთხზული და იმ ყამისა ყოველთა სიბძმინს მოყვარეთა ქართველთა. ლექსნი შავთელისანი და თვით რუსთაველისცა არს ჭფარავს ქებასა. შემდგომად მდივან-მწიგნობარი ესე აბდულ მესია შემონახუნებულა და იოანე უწოდებათ სახელად, გელათის მონასტრში შესულა და იქ უცხოვრობა და მუნ აღსრულებულა და იმ იოანე აბდულ მესია შავთელს მრავალი წიგნი აღუწერია ქართულნი.

ტ. 3) დლარგეთ სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა. სარგის (ანუ სეკციოს) თმოგველი მდივან-მწიგნობარი ყოფილა თამარ მეფისა. თმოგვი სამცხე ახალციხის საზღვარში არის (ციხე და მცირე ქალაქი ყოფილა იქ), დლარგეთისა წიგნი მშენიერი ზღაპარი შეუთხზავს სარგის თმოგველსა. დლარგეტი იგი ვინმე ყოფილა ძლიერი და გვარულობითა, ესე იგი ნათესაობით, გეთი ანუ გეტი. დიად ჩინებული წიგნი ყოფილა დლარგისა, და სხვანიცა წიგნი აღუწერია სარგის თმოგველსა, რაგონდაც რომ ვისრამიანი ფიქსისა ენა-მწიგნობით არს შეთხზული.

ბატონიშვილის ხელნაწილი იმდენად საყურადღებოა, რომ სასურველია დაბეჭდოს მოკლე ხანში.

(«ივერიი»).

# ახალი ამბები და შენიშვნები.

საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წინადადება, რომ ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა გადატანილი ყოფილიყო მოსკოვში, ეითომ, იმ მიზნისა გამო, რომ თბილისში ეს წიგნები შეცდომით იბეჭდებინან, რადგან კარგი კორრექტორი არ იშოვებოდა, მოსკოვის სინოდალნი სტამბამ მიიღო, მაგრამ იმ პირობით კი, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორას მოსკოვში ეშოვა ამ წიგნების კორრექტორი და დაენიშნა მისთვის გადაწყვეტილი ჯამაგირი. კანტორა ამაზე არ დათანხმდა და გამოაცხადა, რომ ყოველი წიგნის ბეჭედის დროს კანტორა თბილისიდან გაგზავნის მოსკოვში კორრექტორსო. მაგრამ, როგორც შევითქვით, უმაღლესს სასულიერო მართებლობას შეუძლებლად დაუნახავს თბილისიდან მოსკოვში კორრექტორის გზავნა ყოველი წიგნის ბეჭედის დროს, ვინაიდან ეს უფრო ბევრს ხარჯს მართხავს და უფრო გააძვირებს ხსენებული წიგნების ბეჭედის საქმესო.

სრული იმედია, რომ ჩვენი სინოდალნი კანტორა მიხედვება, თუ სად, როგორ და რა ღონისძიებით შეიძლება ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნების უფრო ადვილად ბეჭდვა და თავის აზრს მალე გამოაცხადებს.

\* \*

დ. ყვირილაში შესდგა პატარა წრე, რომელთაც მიზნად აქვს თავის ხარჯით გამოიწეროს ზოკაერთი საეკლესიო და სახალხო სკოლებისათვის ქურნალი «ჯეჯილი».

\* \*

ჩვენ წამდვილად შევუბნეთ, რომ ჭკმარტივის ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლას უნდა მიეცეს ერთ დროებითად 1000 მანეთზე მეტი საერო საშუალებებიდან.

\* \*

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! ჩემს სახალწლო ეკსპრომტებში მოხსენებული გვარების „ინიციალებილამ“ პ. ჩ—ქეს ბევრს, თურმე, ჰგონია ბ. კალისტრატე ჩიკაიძე. ეს შემცდარი აზრია. ჩვენ ჩვენს ეკსპრომტებში სახეში გვყავს სალიტერატურო ასპარეზზედ მომქმედნი პირნი და არა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა შინა მოსამსახურენი».

\* \*

ჩვენი გამოცემის წინა ნომერში დაბეჭდილი გვქონდა თბილისის დედათა ეპარქიალური სასწავლებლის განცხადება, რომელშიაც ამ სასწავლებლის რჩევა აცხადებდა გურიის სამღვდლოების საყურადღებოდ, რომ ხსენებულს სასწავლებელში ერთი სტიპენდიაა დაცულილი გურიის სამღვდლოების ქალთათვისო. ეწლა, როგორც შევითქვით, ამ სტიპენდიაზე ამ სასწავლო წლის განმავლობაში მიიღება მხოლოდ მომზადებული ქალი, ხოლო წლის დამლევს—მოუშვადებელიც, თუ ეს სტიპენდია მანამდის არ იქმნა დაჭერილი.

\* \*

მაჭიდაძე გვწერს: ნაქერალა მთის მახლობლად მდებარეობს ერთი პატარა სოფელი, სახელად სსაჭტაღი. ამ სოფელში სცხოვრობს ოცი კომლი გლეხნი, რომელთაც აქვსთ ერთი პატარა ხის ეკლესია, ზედ მიწერილი სოფლის წკადისის შტატის ეკლესიაზედ. ეს პატარა ხის ეკლესია არის ნაკურთხი იმერეთის უკანასკნელი მიტრაპოლიტის დროს. ტაძარი სრულიად უყურადღებოდ იყო ამ უკანასკნელ ხანამდე მიტოვებული. რადგან სახურავიდან წყალი ჩაღიოდა ტაძარში, ყველაფერი მასში დამპალი იყო. ამ მოკლე ხანში სოფლის წკადისის ეკლესიის მღვდლად დაინიშნა ჩვენი პატივცემული ყოვლად სამღვდლო გაბრიელისაგან მღვდელი მ. მიხეილ მესხი. ამ ახალმა მოძღვარმა, თავის ახალს სამრევლოში მოსვლისათანავე, შესაფერი ყურადღება მიაქცია სხარტალის ზედმიწერილს ეკლესიას და მოინდომა მისი

განახლება. თავისი მამაშვილური დარიგებით მან შთაგონა მრევლი, რომელიც ერთგულად შეუდგა თავის ტაძრის შეკეთებას და მოკლე ხანში მშვენიერად მორთეს ეკლესია შიგნით და გარეთ, ეკლესიის ეზო იყო მეტად უსუფთაოდ დაცული. მრევლმა, თავის მოძღვრის თხოვნით, ეკლესიას შემოავლო ფიცრის მშვენიერი გალავანი. ესლა მოძღვრის შთაგონებით და თხოვნით თვითოეული გლეხი ცდილობს შესწიროს რამე, თავის შეძლებისა და გვარ, ეკლესიას. გლეხმა ლევან კობახიძემ შესწირა ორი ღიღი შანდალი; გლეხმა სარდიონ კობახიძემ შესწირა წმ. გიორგის ერთი ხატი და ერთი სასანთლე. იმედია, რომ სხვებიც არ ჩამორჩებიან უკან ამ ორ პატიოსან და ღვთის მორწმუნე გლეხს და ეცდებიან შესაფერად მორთონ თავისი ეკლესია.

\* \*

თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის ათანასიასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გულისთადი მადლობა გამოუცხადოთ ანტოფუს მცხოვრებს პავლე ნადარეშიელის მეუღლას მაკირნე ჯვალუას ასულს, რომელმაც შესწირა რწმუნებულს ჩემდამო დედათა მონასტრის ძვირფასი დროშები».

\* \*

მღვდლის ონისიმე სულაქველიძისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულისთადი მადლობა გამოუცხადო ჩემდამო რწმუნებულის ეკლესიის სამრევლოთაგანს აზ. არჩილ ტარიელის ძეს ფალავან დიშვილს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ეკლესიას, 1888 წლის 17 ოქტომბრის მისის იმპერატორების უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის და უაფესტოესის მისის სახლობის სასწაულებრივი გადარჩენის სახსოვრად შემოსწირა ხარა, ღირებულები 200 მანეთად. ამასთანავე გთხოვთ აცნობოთ მას, რომ ამისთანა დიდად შესანიშნავი დღის სახელობაზედ შეწირულობისათვის იგი ადგილობრითი მღვდლის მიერ იქმნების წირვის დროს ნიადაგ მოხსენებულნი, ამავე პატიოსანმა პირმა აღმითქვა ტრაპეზზედ დასას-

ვენებელი ჯვარი, ღირ. 250 მ. ამავე პირს ამავე ეკლესიისათვის შეწირული აქვს სხვა-და-სხვა ნივთები, ღირებული 700 მანეთად.

იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილშემწირველს თავის ლოცვა-კურთხევის ღირსს გახდის ჩვენი ყოველად სამღვდლო, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი».

### საეჭვო კითხვების განმარტება.

1) შეიძლება თუ არა ეკურთხოს მღვდლად ის პირი, რომელიც ჯვარდაწერილია უკანონოდ შობილს ქალზე?

საეკლესიო კანონებში ნაჩვენებია არ არის, რომ უკანონოდ შობილს ქალზე ჯვარდაწერილი პირი დააბრკოლოს ამ შემთხვევამ მღვდლობის ხარისხის მიღების შესახებ. ამიტომ ყველა ამ შემთხვევაში უწ. სინოდს მინდობილი აქვს ამ კითხვის გადაწყვეტა ადგილობრითი მღვდელმთავრის შეხედულებაზე.

2) შეუძლიათ თუ არა ორ ძმას ერთ ეკლესიაში სამსახური: ერთს—მღვდლად, ხოლო მეორეს—მედავითნედ?

კანონით არავითარი დაბრკოლება არ არის; მაგრამ შეიძლება ისე იქნეს დაბრკოლება: თუმცა, მაგალითად, იგინი ნათესაობითი კავშირისა გამო ბოროტად ხმარობენ ეკლესიის ქონებას, ანუ აწუხებენ ეკლესიის დანარჩენ კრებულს. ამიტომაც უწ. სინოდი კანონიერად რაცხს ეპარქიულ მღვდელმთავრების განკარგულებას, რათა ნათესავეები არ იქნენ ერთსა და იმავე ეკლესიაზე მღვდლად და მედავითნედ.

3) სავალდებულოა თუ არა თვითოეული ბლალაჩინისათვის, რომ იყოლიოს ორ-ორი თანაშემწე და ვისზეა დამოკიდებული ამ თანაშემწეთა განწესება?

ბლალაჩინების თანაშემწეთა რაოდენობა დამოკიდებულია საქიროებაზე და იგინი ინიშნებიან ადგილობრითი ეპარქიალური მთავრობისაგან. არავითარი საზოგადო ინსტრუქცია ამ თანაშემწეთა მოქმედების შესახებ არ არსებობს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდან გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევნ კვირა-უქმებს.

ფ ა ს ი:

12 თვით . . . 10 მ.—გ.	6 თვით . . . 6 მ.—გ.
11 „ „ . . . 9 „,50 »	5 „ „ . . . 5 „,25 »
10 „ „ . . . 8 „,75 »	4 „ „ . . . 4 „,75 »
9 „ „ . . . 8 „,— »	3 „ „ . . . 3 „,50 »
8 „ „ . . . 7 „,25 »	2 „ „ . . . 2 „,75 »
7 „ „ . . . 6 „,50 »	1 „ „ . . . 1 „,50 »

საზღვარ-გარედ დაბარებული ელირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გაზეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შექმნის აღრესით:

Тифлис. Въ Редакцію газеты „ИВЕРІА“

მთ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე აღრესნედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის აღრესის შეცვლაზე—40 კაპ.

მთ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდან გაეგზავნება. მანცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები, (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოივითეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

აქა გვას მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდოს ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია აქა გისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისი უფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, 1-ლ საათიდან 3 საათამდე და საღამომით 7-და 8-მდე.

რედაქცია იმუჯობება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ

რედაქციის მიერ გამოცემათა ქართულს

„მწყემსი“

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საზოგადოებრივ მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და შეცნობება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეკლე კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, შემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაზოგებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 »	— „ ორივე გამოცემა 4 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარიაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარიაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ზარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „ИВЕРІА“ и «ПАСТЫРЬ».

მახდება ხელას-მოწერა 1892 წლისათვის ორ თვიურ  
საქმანჯილო სურათებთან ერთად

# „ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო  
წიგნში იქნება ოთხილამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი,  
ანუ 64—80-დე გვერდი ღიღის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსე-  
ბი, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-  
ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეც-  
ნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარ-  
ჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზე-  
ბი, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები  
ნოტებით.

ქურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვს  
ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით  
ელირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და  
ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თბილისში — წერა-კითხვის საზოგადოების კან-  
ცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 125) და  
თვით «ჯეჯილის» რედაქციაში Красногорская ул. д.  
Назарова № 7).
- 2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.
- 3) გ ო რ შ ი —მკ. შურცელაძისას.
- 4) ბათუმში —მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
- 5) საჩხერაში —ყარამან ჩხვიძელთან.

ვოსტის აღრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»  
რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.*

სამეურნეო გაზეთი

# „მეურნე“

1892 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც  
წინა წლებში.

ფასი გაზეთისა:

თბილისში	თბილისს გარეშე
1 წლის . . . 4 მან.—	1 წლის . . . 5 მან.—
1/2 — . . . 2 — 50	1/2 — . . . 3 —
ცალკე №—15 კ.	

ბანკადგებიანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ  
ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს  
გვერდზედ, და 20 კ. პირველ გვერდზედ. გაზეთის  
დაკვეთა შეიძლება: ქავეასიის სამეურნეო საზოგა-  
დოების კანცელარიაში, დათვით რედაქციაში, რეუტის  
ქუჩაზედ, სახლი № 10. 3—3

შმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“  
თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული  
1835 წელს.

## საზოგადოება ყუზლავს

- 1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვი-  
დრებისათვის, ენიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.
- 2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ  
დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუტდება.
- 3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს  
აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასკირდე-  
ბა შეიღების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის  
სამხითვოდ.
- 4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა...  
შმათერესი აგენტი და ინსპექტორი ქავეასიაში ნ.  
ბრუზენბერგი. ვოსტის და ღებემის აღრესი: Гру-  
зенбергу Тифлисъ.

(15—11)

შინაარსი: მიტრაპოლიტი დავითი.—წერილი სამეგ-  
რელოდამ.—ბათუმის ვკლესიის დეკანოზის მ. სიმონ ქიქოძის  
გარდაცვალებისა გამო.—მეგობრის წერილი.—თამარ მეფე.—  
წერილი პეტერბურგიდამ.—ახალი ამბები და შენიშვნები.—  
საეჭვო კითხვების განმარტება.—განცხადებანი.